20.11.2026

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში
2026 წლის ოქტომბერი

იმპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით შემცირდა 0.6 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 7.2 პროცენტიანი ზრდა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ფასები 5.9 პროცენტით გაიზარდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების ჯგუფზე. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასების 6.8 პროცენტიანი მატება ფიქსირდება. რაც შეეხება წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 2.2 პროცენტიანი კლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2026 წლის ოქტომბერში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2025 წლის ოქტომბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**107.2**	**7.15**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება**	**105.9**	**0.26**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**106.8**	**6.61**
19	კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები	174.7	4.37
29	ავტოსატრანსპორტო საშუალებები, მისაბმელები და ნახევარმისაბმელები	102.1	0.56
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**2 223.0**	**0.29**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**97.8**	**0.00**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.11.2026

იმპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge